საქართველოს მთავრობის

დადგენილება №297

2020 წლის 8 მაისი

ქ. თბილისი

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/03/2020, 120160030.10.003.021892) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების:“

1. 2^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2^1. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში შესვლისა და გასვლის შეზღუდვა

1. აიკრძალოს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში შესვლა და ამ მუნიციპალიტეტიდან გასვლა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ეხება:

ა) სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლების სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე გადაადგილებას;

ბ) საერთაშორისო და ადგილობრივ სატვირთო გადაზიდვებს;

გ) საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე გადაადგილებას;

დ) ბრალდებულების/მსჯავრდებულების გადაყვანას;

ე) ფულადი სახსრების, ძვირფასი ლითონებისა და სხვა ფასეულობათა ინკასირებას;

ვ) ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყლის წარმოების /გადაცემის/განაწილების/მიწოდების, ასევე სატელეკომუნიკაციო, საფოსტო და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდების მიზნით გადაადგილებას;

ზ) სამომსახურეო სარკინიგზო მიმოსვლის მიზნით გადაადგილებას;

თ) მედიასაშუალებების წარმომადგენელთა ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაადგილებას;

ი) სარიტუალო მომსახურების გაწევის მიზნით გადაადგილებას (მიცვალებულის გადასვენება/დაკრძალვა);

კ) საერთაშორისო ორგანიზაციების ჰუმანიტარული მიზნებისთვის გადაადგილებას;

ლ) კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაადგილებას;

მ) საჯარო დაწესებულებებისა და ამ დადგენილებით დაშვებული ეკონომიკური საქმიანობების განმახორციელებელი სუბიექტების მიერ ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებულ სიაში მყოფ პირებს/ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, რომელთა გადაადგილებაც კრიტიკულად აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტში შესვლა არ ეკრძალებათ ამ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტიდან გასვლა არ ეკრძალებათ სხვა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს.“.

2. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა

1. საგანგებო მდგომარეობის ვადით ჩერდება ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, გარდა:

ა) სამედიცინო დაწესებულების საქმიანობისა;

ბ) ნებისმიერი სახის წარმოებისა და მოპოვებისა;

გ) ღია ტიპის აგრარული ბაზრების/ბაზრობების საქმიანობისა;

დ) ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების (მათ შორის, ბენზინისა და დიზელის), წყლის რეალიზაციისა/შესყიდვისა/გადაცემისა/განაწილებისა/მიწოდებისა, თხევადი აირის მიწოდებისა/რეალიზაციისა, ასევე სატელეკომუნიკაციო, საფოსტო და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებისა;

ე) კომერციული ბანკების საქმიანობისა;

ვ) იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და მათი აგენტების საქმიანობისა, რომლებიც აწვდიან მომსახურებას თვითმომსახურების კიოსკების მეშვეობით;

ზ) საგადახდო სისტემის ოპერატორების საქმიანობისა;

თ) ბანკომატების, თვითმომსახურების კიოსკებისა და პოსტერმინალების უწყვეტი ფუნქციონირებისათვის საჭირო საქმიანობისა;

ი) მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობისა;

კ) საბანკო-საფინანსო პროდუქტების/მომსახურების დისტანციური არხებით მიწოდებისა/რეალიზაციისა;

ლ) სესხის გამცემი სუბიექტების საქმიანობისა;

მ) სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ფარმაცევტული პროდუქტის დისტრიბუციისა/რეალიზაციისა;

ნ) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებასა და მეცხოველეობასთან/მეფრინველეობასთან დაკავშირებული საქმიანობისა;

ო) მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაადგილებით მომსახურებისა (მძღოლი აღჭურვილი უნდა იყოს პირბადით);

პ) მიტანის მომსახურებისა (ე. წ. „დელივერი სერვისი“);

ჟ) დისტანციური (ე. წ. „ონლაინ“) ვაჭრობისა (სამუშაო ადგილზე/საწყობში არაუმეტეს 5 ადამიანისა);

რ) კერძო დაცვითი საქმიანობისა;

ს) საადვოკატო საქმიანობისა;

ტ) ავტომობილების, მოტოციკლეტების, მოპედებისა და ველოსიპედების ტექნიკური მომსახურების გამწევი სუბიექტების საქმიანობის, მათ შორის, ავტოსამრეცხაოების საქმიანობისა, ასევე ამავე სუბიექტების მიერ ტექნიკური მომსახურების გასაწევად აუცილებელი ნაწილების/აქსესუარების/მასალის ადგილზე რეალიზაციისა;

უ) პრესის ჯიხურებისა;

ფ) ნავთობისა და გაზის მოპოვებისა, გადამუშავებისა;

ქ) ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობისა, თუ იგი ხორციელდება დისტანციურად მხოლოდ სახლიდან (სახლიდან გაუსვლელად);

ღ) დასაწყობებისა და შენახვის საქმიანობისა (სამუშაო ადგილზე/საწყობში არაუმეტეს 5 ადამიანისა, გარდა საბაჟო საწყობებისა);

ყ) დაშვებული ეკონომიკური საქმიანობებისთვის შესაფუთი მასალების/ტარის მიწოდებისა და რეალიზაციისა, აგრეთვე ეტიკეტირებისა და ეტიკეტირებასთან დაკავშირებული საქმიანობისა;

შ) სამშენებლო-სარემონტო საქმიანობისა, ასევე სამშენებლო ზედამხედველობასთან დაკავშირებული საქმიანობისა;

ჩ) გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისა და ექსტრადიციის განხორციელების, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების აღსრულების მიზნით სათარჯიმნო საქმიანობის განხორციელებისა;

ც) საყოფაცხოვრებო ტექნიკის, მათ შორის, კომპიუტერებისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების რემონტის მომსახურების გამწევი სუბიექტების საქმიანობისა.

2. დაშვებულია ღია მოსასვენებელი და სარეკრეაციო ზონების ფუნქციონირება.

3. დაშვებულია იმ საცალო და საბითუმო სარეალიზაციო ობიექტების (მაღაზიების) ფუნქციონირება, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი შესასვლელი ქუჩიდან, გარდა ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით ვაჭრობისა და სავაჭრო ცენტრებისა (შეზღუდულია ე. წ. მოლები და ყველა სხვა ტიპის ბაზრობები, გარდა ამავე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დაშვებული ბაზრების/ბაზრობებისა).

4. დაშვებული ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დისტანციური მუშაობა გულისხმობს სახლიდან მუშაობას, ხოლო კრიტიკულად აუცილებელ შემთხვევებში, ასევე სამუშაო ადგილიდან (სამსახურიდან, ოფისიდან, მაგრამ არაუმეტეს 5 ადამიანისა).

5. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, დამატებით განსაზღვროს იმ ეკონომიკური საქმიანობების ან/და ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტების/მეწარმე სუბიექტების ჩამონათვალი, რომლებიც არ იზღუდებიან და რომელთა ფუნქციონირებაც აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის პერიოდში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობების ან/და ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტების ჩამონათვალს საქართველოს მთავრობას წარმოუდგენენ საქართველოს სამინისტროები ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებით.

7. საგანგებო მდგომარეობის ვადით რესტორნების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების,

საწარმოებში/ორგანიზაციებში არსებული კვების ობიექტების საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ ადგილზე მიტანის ან პროდუქტის სატრანსპორტო საშუალებით გატანის (ე.წ. „დრაივის“) მომსახურებით, სარეალიზაციო სივრცეში მომხმარებლის დაშვების გარეშე.

8. ყველა დაშვებული ეკონომიკური საქმიანობა, მიუხედავად ფორმისა და სახისა, უნდა განხორციელდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

9. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დაშვებული საქმიანობა უნდა განხორციელდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.“.

3. №1, №2 და №3 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 11 მაისიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**

დანართ

№	საიდენტიფიკაციო ნომერი	სუბიექტის დასახელება	ეკონომიკური საქმიანობის დასახელება Nace Rev 2
1	216406271	შპს „ვაგონმშენებელი კომპანია“	სხვა სატრანსპორტო საშუალებების რემონტი და ტექნიკური მომსახურება
2	416334167	შპს „მნკორპი“	საბითუმო ვაჭრობა ლითონებით და ლითონის მადნებით
3	202886010	სს „საქართველოს რკინიგზა“	რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტი
4	202886788	შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“	საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი
5	245445200	შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“	საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი
6	215096367	შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“	სხვა სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
7	208205360	შპს „ჯორჯიან ეარვეისი“	საჰაერო სამგზავრო ტრანსპორტი
8	406178835	შპს „მაივეი ეარლაინს კო ლტდ“	საჰაერო სამგზავრო ტრანსპორტი
9	205150352	შპს „მეტრო სერვის +“	სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება
10	206203491	შპს „ტავ ურბან საქართველო“	საჰაერო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება
11	208144051	შპს „საქაერონავიგაცია“	საჰაერო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება
12	404389693	შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“	საჰაერო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება

13	204892170	შპს „შავი ზღვის ტერმინალი“	ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა
14	215080999	სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“	ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა
15	215120223	შპს „ბი ენდ პი“	ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა
16	245383678	შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“	ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა
17	245432544	შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“	ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა
18	404386151	შპს „ტრანსფორდი“	ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა
19	416334149	შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“	ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები
20	204574503	შპს „გიანთი ლოჯისტიკსი“	ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები
21	205040926	შპს „ეისა“	ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები
22	205276681	შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“	ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები
23	215124498	შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთი“	ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები
24	402020022	შპს „ჯიარ ტრანზიტი“	ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები
25	415082145	შპს „ჯნს ჯორჯია“	ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები
26	404553666	შპს „ეკოსერვის ჯგუფი“	ტერიტორიის მომსახურების საქმიანობები
27	204559361	შპს „თიბისი ფეი“	ბიზნესის სხვა დამხმარე მომსახურების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
28	205064446	შპს „საქსპეცტრანსი“	პირბადეების კერვისათვის მასალით უზრუნველყოფა
29	404507173	შპს „ჯი ენ ელ“	ლატარიების მოწყობა
30	404931972	შპს „გეგრიუდერ ვაის“	სატვირთო საგზაო ტრანსპორტი
31	236037962	სს „ენერგონი“	მხოლოდ ტექნიკური მომსახურება და რემონტი
32	404415290	შპს „სიქპა სიქურითი სოლუშენს ჯორჯია“	აქციზური/არააქციზური მარკების მიწოდება ან/და აქციზური/არააქციზური მარკებით ნიშანდების/მარკირების მომსახურება

დანართ

1	სასარგებლო წიაღისეულისა და სამთომოპოვებითი მრეწველობის მიწოდება/რეალიზაცია
2	თამბაქოს ნაწარმის ვაჭრობა (გარდა სპეციალიზებული სავაჭრო ჯიხურებისა)

3	სასტუმროები და განთავსების სხვა საშუალებებით უზრუნველყოფის საქმიანობები (მხოლოდ საკარანტინო მიზნებისთვის)
4	სატრანსპორტო (საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო) სატვირთო გადაზიდვები და სხვა მასთან დაკავშირებული მომსახურე
5	სადეზინფექციო, ჰიგიენური და ქიმიური საშუალებების საბითუმო რეალიზაცია
6	პირბადეების, პირადი დაცვის საშუალებების, სპეცტანსაცმლის, სპეციალური დაცვითი საშუალებების და ეკიპირების მიწოდება
7	ტექსტილის რეცხვა და ქიმწმენდა
8	სატელევიზიო პროგრამების წარმოება და ტელემაუწყებლობის საქმიანობები
9	საფოსტო და საკურიერო მომსახურება
10	საგამომცემლო საქმიანობა
11	ტელერადიომაუწყებლობა, ელექტრონული კომუნიკაციები
12	IT და სერვერული ინფრასტურქტურის და უსაფრთხოების სისტემების მხარდაჭერა (დისტანციურად)
13	საინფორმაციო სამსახურების საქმიანობა (მათ შორის ბიზნეს პროცესების ოუთსორსინგი) (დისტანციურად)
14	სადაზღვევო და სალიზინგო საქმიანობა (დისტანციურად)
15	ტექნიკური გამოცდები და ანალიზები; აკრედიტებული საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიები, პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოები და ინსპექტირების ორგანოები
16	სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა (დისტანციურად)
17	სააღრიცხვო, საბუღალტრო და სააუდიტო საქმიანობები; საგადასახადო კონსულტირება (დისტანციურად)
18	საკონსულტაციო საქმიანობები ბიზნესის და მართვის სხვა საკითხებში (დისტანციურად)
19	არქიტექტურული საქმიანობები (დისტანციურად)
20	იურიდიული მომსახურება (დისტანციურად)
21	შენობების საერთო დასუფთავება და დეზინფექცია
22	დაკრძალვა და მასთან დაკავშირებული საქმიანობები
23	სახანძრო და უსაფრთხოების სისტემის ტექნიკური მომსახურება
24	24-საათიანი სპეციალიზებული დაწესებულებები (ბავშვთა სააღმზრდელო, დედათა და ბავშვთა, შშმ, ხანდაზმულთა, ძალადობის მსხვერპლთა პანსიონატები/თავშესაფრები/დაწესებულებები)
25	არბიტრაჟი და მედიაცია (დისტანციურად)
26	ტერიტორიის მომსახურების საქმიანობები (გამწვანება, მორწყვა, მოვლა)
27	საკონტროლო-სალარო აპარატების ჩეკის დასაბეჭდი ქაღალდის/რულონის მიწოდება
28	მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების (მათ შორის ლიფტი, გაზსადენი და სხვა) შეკეთება/რემონტი
29	საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოები.

დანართი

ეკონომიკური საქმიანობები და ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტები/მეწარმე სუბიექტები, რომლებიც არ იზღუდ
საგანგებო მდგომარეობის პერიოდში

1. სამაცივრე მეურნეობები, მათი ტექმომსახურება; სამაცივრე ტექნიკის და მარაგნაწილების რეალიზაცია

2. საბაჟო საწყობები;

3. ცხოველთა სასაკლაოები;

4. სურსათისა და ცხოველთა საკვების ლაბორატორიები;

5. სადეზინფექციო მომსახურების ცენტრები;

6. სასათბურე მეურნეობები;

7. სამელიორაციო, საირიგაციო და წვეთოვანი სარწყავი სისტემების რეალიზაცია;

8. ვეტერინარული კლინიკები;

9. ცხოველთა თავშესაფრები;

10. ნიადაგის, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ლაბორატორიები;

11. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ინვენტარისა და სათადარიგო ნაწილების რეალიზაცია;

12. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების გამწევი სუბიექტები;

13. ყვავილის მოყვანა და რეალიზაცია ღია სივრცეში.